ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA

EUIPO
EUROPEAN UNION INTELLECTUAL PROPERTY OFFICE

EUGIPP

ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ

ideas powered @SCHOOL

ინტელექტუალური საკუთრება (IP) განათლებაში

ინტელექტუალური საკუთრების დღის აქტივობები

კარაოკე-შხაპი

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მას ახორციელებს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO)

კარაოკე-შხაპი

აქტივობის შესახებ	ეს აქტივობა გაერთიანებული სამეფოს ინტელექტუალური საკუთრების (IP) ოფისში მოიფიქრეს: მოსწავლეები შედიან შხაპის მსგავს კაბინაში და თავიანთი საყვარელი მომღერლის სიმღერას ასრულებენ. „შხაპში“ ერთდროულად მღერის ორი ან რამდენიმე მოსწავლე. ამ დროს მეგობრებს შეუძლიათ გარედან, ეკრანზე უყურონ მომღერლებს და ხმითაც აჰყვნენ მათ.
ასაკი	ყველა საფეხური
დრო	რამდენიმე წუთი თითო სიმღერისთვის, რომელსაც მაქსიმუმ ხუთი მოსწავლე ასრულებს
მიზანი	ეს აქტივობა მიზნად ისახავს, გააცნობიერებინოს მოსწავლეებს, თუ რამხელა შრომა და ძალისხმევა სჭირდება მუსიკის შეთხზვას, შესრულებას, ჩაწერას და, არანაკლებ, ამ მუსიკისთვის კომერციული წარმატების მოპოვებას. ამიტომ სამართლიანია, რომ ხელოვანსა და, ზოგადად, ამ ინდუსტრიაში ჩაბმულ ადამიანებს შეეძლოთ, თავიანთი კრეატიული შრომისგან შემოსავალი მიიღონ. ეს არის ერთგვარი გზავნილი ინტელექტუალური საკუთრებისა და იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს ის ადამიანის ცხოვრებაზე – იქნება ის მომხმარებელი, თუ შემოქმედი.
სწავლის შედეგები	მოსწავლეები შეიტყობენ: • რატომ არის საჭირო, რომ ხელოვანმა შემოქმედებითი შრომით შემოსავალი მიიღოს; • რა როლს თამაშობს ინტელექტუალური საკუთრება ხელოვანის ცხოვრებაში და როგორ უწყობს მას ხელს შემოქმედებითი საქმიანობის გაგრძელებაში; • თუ რატომ არის აუცილებელი სხვების შრომის პატივისცემა; • რა გზები არსებობს ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და პრაქტიკული გამოყენებისათვის.
კომპეტენციები	• წიგნიერების კომპეტენცია • კულტურული გაცნობიერებულობისა და გამოხატვის კომპეტენცია • მოქალაქეობის კომპეტენცია • პერსონალური, სოციალური და სწავლის კომპეტენცია • სამეწარმეო კომპეტენცია
მომზადება	მნიშვნელოვანია, რომ კარაოკე-შხაპის მოსაწყობად სკოლაში გამოინახოს ისეთი ადგილი, სადაც მომღერალი მოსწავლეები სხვა კლასებს მუშაობაში ხელს არ შეუშლიან. ასევე, აუცილებელია, წინასწარ გაირკვეს, რამდენად გაქვთ ამ აქტივობისთვის საავტორო უფლებით დაცული მასალის გამოყენების უფლება. https://ipo.blog.gov.uk/2014/10/17/big-music-project-karaoke-shower/

Intellectual
Property
Office

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და მასალების ჩამოსატვირთად ეწვიეთ ვებგვერდს: www.ideaspowered.eu
ან გაგზავნეთ წერილი მისამართზე: IPinEducation@euipo.europa.eu

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

EUGIPP
ევროკავშირის და საქართველოს ერთობლივი პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ

ეროვნული ინტელექტუალური საკუთრების სააგენტო
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.gov.ge

ideas powered @SCHOOL

EUIPO
EUROPEAN UNION INTELLECTUAL PROPERTY OFFICE